

დსთ-ის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელი სერგეი ლებედევი 7 ოქტომბერს ცესკოს თავმჯდომარეს მაზაჰირ ფანაჰოვს შეხვდა.
შეხვედრაზე ცესკოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სადამკვირვებლო ინსტიტუტს არჩევნების გამჭვირვალობის მხრიდან დიდი მნიშვნელობა აქვს, მისიის წევრების აზერბაიჯანში ნახვა ძალიან გაუხარდა.
ლებედევმა აღნიშნა, რომ წინასაარჩევნო მდგომარეობის საკვლევად დსთ-ის სადამკვირვებლო მისიის ჯგუფის წევრი 10 სექტემბრიდან აზერბაიჯანში იმყოფება. დამკვირვებლები ბაქოს გარდა რესპუბლიკის რეგიონებშიც იყვნენ, რიგი შეხვედრები ჩაატარეს, წინასაარჩევნო სიტუაცია შეისწავლეს. მისიის სხვა წევრებიც რეგიონებს ეწვევიან, არჩევნების დღეს პუნქტებს დააკვირდებიან.
ლებედევმა განაცხადა, რომ აზერბაიჯანში არჩევნებისთვის მზადება მაღალ დონეზეა. მისი თქმით, პრეზიდენტობის 10-ივე კანდიდატს წინასაარჩევნო კამპანიისთვის ერთნაირი პირობები შეუქმნეს.